**დანართი**

**სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის სტიპენდიის მინიჭების წესი**

## 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის სტიპენდია (შედგომში - სტიპენდია) ენიჭება უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტს.
2. სტიპენდიის დაწესების მიზანია ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა წახალისება.

## 2. სტიპენდიის მინიჭების პირობები

1. სტიპენდია ყოველი სემესტრის დასაწყისში გაიცემა წინა კალენდარული სემესტრის შედეგების გათვალისწინებით, შერჩევის საფუძველზე ბაკალავრიატის ან/და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ ერთ სტუდენტზე.
2. სტიპენდია არ გაიცემა:

ა) ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სემესტრის სტუდენტზე;
ბ) სტუდენტზე, რომელსაც უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე გავლილი აქვს ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პერიოდზე მეტი;
გ) შესაბამის სემესტრში მობილობით გადმოსულ სტუდენტზე;
დ) წინა კალენდარულ სემესტრში სტატუსშეჩერებულ სტუდენტზე;
ე) შესაბამის სემესტრში სხვა სტიპენდიის/საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე სტუდენტზე;
ვ) შესაბამის სემესტრში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში თსუ უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გაუცემელი თანხის სხვა სტუდენტისთვის სტიპენდიის სახით დანიშვნის თაობაზე.

## 3. სტიპენდიატის შერჩევის წესი

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატის შერჩევას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია.
2. სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება განხორციელდება აკადემიური მოსწრებით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში წინა კალენდარულ სემესტრში სასწავლო კურსებში (არანაკლებ 30 კრედიტი; სოციალურ და პოლიტიკურ

მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტთათვის, ასევე სტუდენტთათვის, რომელთაც ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია, არჩეული აქვთ დამატებით სპეციალობად, მოპოვებული კრედიტების ოდენობა, არანაკლებ 27 კრედიტისა) მიღებული შეფასების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

3. აკადემიური მოსწრების მაქსიმალური შეფასების მქონე კანდიდატის გამოვლენის შემთხვევაში, კონკურსი დასრულებულად ცხადდება.

4. ორი ან მეტი ერთი და იმავე საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე კანდიდატის არსებობის შემთხვევაში, კომისიის მიერ სტიპენდიატის შერჩევა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება (წინა სემესტრში გამოქვეყნებული/დასაბეჭდად გადაცემული ნაშრომები).

ბ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები).

გ) თსუ-ს გაცვლით და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა.

5. ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი ვალდებულია კომისიას მიაწოდოს ინფორმაცია საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების შესახებ.

6. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებთან შესაბამისობისა და სტიპენდიის გაცემის თაობაზე დასკვნას ამზადებს კომისია.

7. სტიპენდია ინიშნება რექტორის ბრძანებით.

8. სტიპენდია გაიცემა შესაბამისი სემესტრის (5 თვის) განმავლობაში თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით. სტიპენდია გაიცემა რექტორის ხელფასიდან.